

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №320  
2013 წლის 9 აგვისტო

ქ. თბილისი

დევნითა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

1. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა (შემდგომში - „დევნითა“) განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდეს „დევნითა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი“ - დანართი №1.
2. დამტკიცდეს „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა“ - დანართი №2 და „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის ფორმა“ - დანართი №3.
3. დამტკიცდეს „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ - დანართი №4 და „სოციალური კრიტერიუმი“ - დანართი №5.
4. დამტკიცდეს „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“ - დანართი №6.
5. შეიქმნას დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია და მისი დებულება დამტკიცდეს დანართი №7-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან იძულებით  
გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა  
მინისტრი

დავით დარახველიძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №383  
2013 წლის 19 აგვისტო

ქ. თბილისი

„დევილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„დევილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების (ვებგვერდი, 15/08/2013, 010170000.22.029.016059) პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. წესის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. დევილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები დაკმაყოფილდა ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, კონკრეტული საცხოვრებელი ფართები სადარბაზოებისა და სართულების მიხედვით გაუნაწილდებათ, კომისიის მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით, კომისიამ შესაძლებელია საცხოვრებელი ფართი დევილ ოჯახს გადასცეს კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე.“.

2. წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დევილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, თუ კონკრეტული პროექტის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რა რიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან იძულებით  
გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა  
მინისტრი

დავით დარახველიძე



**დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში - წესი) ადგენს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების წესს.

2. ეს წესი ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს იძულებით გადაადგილების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცებულ ”იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიასა“ (შემდგომში - სტრატეგია) და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას“ (შემდგომში - სამოქმედო გეგმა).

3. წინამდებარე წესით აღიარებულია ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილების, ოჯახის მთლიანობის, ოჯახის ან მეურვის/მზრუნველის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნებისა და მათი განსაკუთრებული დაცვის, ასევე, სათანადო საცხოვრებელი უზრუნველყოფის, დოკუმენტაციისა და საჯარო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი**

წინამდებარე წესის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) დევნილი ოჯახი - განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში;

ბ) დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა - დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახისათვის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ განსახლების მიზნით, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ადგილობრივი განსახლება - საცხოვრებელი პირობების გრძელვადიანი გადაწყვეტა მის ფაქტობრივ საცხოვრებელთან იმ მანძილზე, რომელიც უზრუნველყოფს უკვე არსებული სოციალური კავშირებისა და შემოსავლის წყაროების შენარჩუნებას;

დ) განსახლება სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში – საცხოვრებელი პირობების გრძელვადიანი გადაწყვეტა, რომელიც არ წარმოადგენს ადგილობრივ განსახლებას;

ე) მონაცემთა ბაზა – სამინისტროში არსებული დევენილთა მონაცემთა ბაზა;

ვ) კრიტერიუმები - ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „საცხოვრებელით ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ - დანართი №4 და „სოციალური კრიტერიუმი“ - დანართი №5.

ზ) საცხოვრებელი ფართის სტანდარტები - ამ ბრძანების მე-4 პუნქტით დამტკიცებული „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები დევენილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“ - დანართი №6.

თ) დეპარტამენტი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევენილთა საკითხების დეპარტამენტი;

ი) სამიზნე (დასახური) ობიექტები - დევენილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტები, რომლებიც: ავარიულია და საფრთხეს უქმნის იქ მაცხოვრებელთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევენილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას, სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ობიექტებს ან ობიექტს, რომელიც დღეის მდგომარეობით არ არის არც შეიძლება იყოს ადაპტირებული საცხოვრებელ ფართებად;

კ) პარტნიორი ორგანიზაცია - სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო, დონორი და ადგილობრივი ორგანიზაციები.

### **მუხლი 3. დევენილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცედურა**

1. დევენილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესში, კონკრეტული დევენილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის შეთავაზებაზე, მიღებული განცხადებების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი დევენილთა საკითხების შემსწავლელი კომისია (შემდგომში - კომისია).

2. დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავებული დევენილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების პროექტები მხოლოდ ეტაპობრივად ქმნის დევენილი ოჯახებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებების შესაძლებლობას.

3. მას შემდეგ, რაც სამინისტრო ან პარტნიორი ორგანიზაცია სამინისტროს ჩართულობით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ებ)ს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებ(ებ)ის გაკეთების მიზნით, კომისია პირველ რიგში განსაზღვრავს იმ დევენილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები.

4. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზება გულისხმობს გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რათა კომისიის მიერ განსაზღვრულ კონტიგენტს მიეცეს საშუალება წარადგინოს შესაბამისი განაცხადი გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის.

5. დევნილი ოჯახების კონტიგენტის განსაზღვრის შემდეგ, სამინისტრო, მისი ტერიტორიულ ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობით, ახდენს კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და კერძო სექტორში მაცხოვრებელ დევნილთა ინფორმირებას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის დაგეგმილი ღონისძიებებისა და გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების, ასევე განაცხადების მიღების მკაცრად რეგლამენტირებული ვადების შესახებ. ამასთან, დევნილებს უნდა მიეცეთ არაუმეტეს 1 თვის ვადა განაცხადების წარსადგენად (გადაწყვეტილების მისაღებად მოსაფიქრებელი დრო, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, განაცხადზე დასართავი დოკუმენტების მოწესრიგება და სხვ). დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების კონკრეტული პროექტის ფარგლებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებების შესაბამისად, კომისია ადგენს წინასწარ განსაზღვრული კატეგორიის დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების განხილვის ვადებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

6. დეპარტამენტი ახდენს გასანაწილებელი ფართების დაკავების მსურველთა განაცხადების მიღებას, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კონტიგენტიდან. განაცხადის შევსება ხდება სამინისტროს შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ როგორც სამინისტროს შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომლი, ისე დევნილი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ან ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი მასზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ოჯახის სრულწლოვანი წევრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის დევნილი ოჯახის მიერ ივსება ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2 – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ ფორმა და დანართი №3 – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის“ ფორმა. დევნილს აქვს უფლება, განაცხადის შემოტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, დააზუსტოს მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

7. საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე დევნილთა მიერ შევსებულ განაცხადს უნდა ერთვოდეს, მასში მოცემული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შევსებულ კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის მცდარი, განაცხადი რჩება განუხილველი, რომლის მიზეზიც ეცნობება დევნილს დეპარტამენტის უფროსის ან სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველოს უფროსის დასაბუთებული წერილობითი აქტის მეშვეობით. აღნიშნულის თაობაზე, საჭიროების შემთხვევაში, ასევე ეცნობება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორგანოებს.

8. დეპარტამენტი ახდენს განაცხადების დამუშავებას კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად და დამუშავებულ მასალას უგზავნის კომისიას საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

9. დეპარტამენტის მიერ საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს: შესაძლებლობისა და საჭიროების შემთხვევაში, დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლას, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი მონაცემების მოთხოვნას დევნილებისაგან; ასევე, მოპოვებული და დევნილი ოჯახის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობის შეფასებას კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების მეშვეობით. სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოები ეხმარებიან დეპარტამენტს განაცხადების მიღებაში, დამუშავებასა და მონაცემების მოძიება-გადამოწმებაში. დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლის შემთხვევაში, დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სამინისტროს შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი და დევნილი ოჯახის სრულწლოვანი წევრები.

10. დეპარტამენტი არ განიხილავს იმ დევნილი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც დევნილის სტატუსიდან გამომდინარე ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

11. დამუშავებული მასალები გადაეცემა კომისიას, რომელიც კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კონკრეტული დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით მოცემული პროექტის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში, კომისია დამატებითი მასალის მოძიების დავალებას მისცემს დეპარტამენტს.

12. შესაბამისი გადაწყვეტილება საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება კომისიის მიერ და ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (დადებითი/უარყოფითი) ეცნობება დევნილ ოჯახს წერილობით, რომელიც შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები დაკმაყოფილდა ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, კონკრეტული საცხოვრებელი ფართები სადარბაზოებისა და სართულების მიხედვით გაუნაწილდებათ, კომისიის მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით, კომისიამ შესაძლებელია საცხოვრებელი ფართი დევნილ ოჯახს გადასცეს კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, დევნილი ოჯახი ვალდებულია განაცხადოს წერილობითი თანხმობა, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, სამინისტროს მიერ შეთავაზებული კონკრეტული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე. აღნიშნული თანხმობისა და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გასანაწილებელი ფართების დაკავების მსურველთა განაცხადების დაკმაყოფილების შესახებ, გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს განმცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების, კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ გასანაწილებელ საცხოვრებელ ფართ(ებ)ში განსახლების საფუძველს. ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ფართის კონკრეტულ მისამართს.

15. დევნილი ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სხვა პროექტ(ებ)ის ფარგლებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებ(ებ)ის გაკეთების მიზნით, ავსებენ მხოლოდ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ ფორმას. ამ შემთხვევაში, დევნილი ოჯახის ან სამინისტროს ინიციატივით შესაძლებელია დაზუსტდეს/გადამოწმდეს დევნილი ოჯახის მიერ შევსებული ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის“ ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასეთი საჭიროების შემთხვევაში.

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №383 - ვებგვერდი, 22.08.2013წ.*

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №621 - ვებგვერდი, 31.10.2013წ.*

#### **მუხლი 4. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმები**

1. გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტული საცხოვრებელი ფართის შეთავაზებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

2. აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების განაწილება, იქნება ეს ახლადაშენებული, რეაბილიტირებული შენობები თუ სხვა საცხოვრებელი ბინები და სახლები.

3. დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, თუ კონკრეტული პროექტის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რა რიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება.

4. კრიტერიუმების პრიორიტეტულობის დამთხვევის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ დევნილ ოჯახს, რომელსაც ასევე მიესადაგება სხვა კრიტერიუმიც. გამონაკლის შემთხვევაში, პრიორიტეტთა/ქულების სრული დამთხვევის შემთხვევაში, კომისია დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად ატარებს კენჭისყრას.

5. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და კერძო სექტორში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმები განსაზღვრულია ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის“ №4 დანართისა და „სოციალური კრიტერიუმის“ №5 დანართის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი ამ ბრძანების მე-4 პუნქტით დამტკიცებული №6 დანართის შესაბამისად - „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“.

7. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების პროექტ(ებ)ის შესაბამისად, დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შეთავაზებისას, კომისიამ, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს დევნილთა ადგილობრივი განსახლების აუცილებლობა, რათა მოხდეს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დევნილი ოჯახის ფაქტობრივ საცხოვრებელთან იმ მანძილზე, რომელიც უზრუნველყოფს უკვე არსებული სოციალური კავშირებისა და შემოსავლის წყაროების შენარჩუნებას. გარდა კრიტერიუმების შესაბამისი ქულებით დევნილი ოჯახის შეფასებისა, ქ. თბილისში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახს ასევე ენიჭება დამატებით 2 ქულა, თუ იგი შეავსებს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში არსებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ებ)ის ფარგლებში, გარდა ქ. თბილისისა.

8. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ებ)ის შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს:

ა) ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრებ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით;

ბ) კონკრეტული დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) იმ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ.

9. განსაკუთრებულ შემთხვევად შესაძლებელია განხილულ იქნეს დევნილი ოჯახის განაცხადი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე, თუ იგი ფლობს საკუთრებაში საცხოვრებელ ფართს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ამ მუხლის მე-6 პუნქტში მოცემული საცხოვრებელი ფართის მინიმალური სტანდარტებისაგან, ხოლო საბაზრო ფასი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მის საფასურად ალტერნატიული, ამ პუნქტში აღნიშნული მინიმალური სტანდარტების მქონე საცხოვრებელ ფართის შეძენა. ამასთან აღნიშნული საცხოვრებელი ფართი მას არ უნდა ჰქონდეს გადაცემული საკუთრებაში დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

10. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-მმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში;

ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში.

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №383 - ვებგვერდი, 22.08.2013წ.*

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №621 - ვებგვერდი, 31.10.2013წ.*

დანართი №2

**საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადი**

განცხადების ნომერი:		თარიღი:		
<b>1. ინფორმაცია განმცხადებელზე</b>				
სახელი, გვარი		პირადი ნომერი		
		დევნილის რეგისტრაციის ნომერი		
<b>2. განმცხადებლის ოჯახის შემადგენლობა</b>				
№	სახელი	გვარი	ოჯახის უფროსის მიმართ დამოკიდებულება (მეუღლე, შვილი, მშობელი, და/მმა, შვილიშვილი,	პირადი ნომერი



			რძალი/სიძე და ა.შ.)	
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
<b>3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია</b>				
ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი (ქალაქი/რაიონი, სოფელი, ქუჩა, ბინა)			ტელ./მობ. ნომერი	

ჩვენ ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ განმცხადებელი \_\_\_\_\_ წარმოადგენს ჩვენი ოჯახის ყველა წევრის ინტერესებს და სამინისტროს თანამშრომლების მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, დანართი №3 – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის“ შევსების დროს ვაძლევთ უფლებამოსილებას, უპასუხოს კითხვებს. ასევე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სამინისტროს აქვს უფლება საჭიროებისდამიხედვით გადაამოწმოს რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების დროს მოწოდებული ოჯახის წევრების პირადი ინფორმაცია. (შენიშვნა: სამინისტრო იტოვებს უფლებას, ანკეტაში მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ბათილად ცნოს მიღებული გადაწყვეტილება).

განმცხადებლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

ოჯახის სხვა წევრები: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

**დანართი №3**

**საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარი №**

კითხვარის შევსების მიზანია შესწავლილ იქნეს თქვენი ოჯახის მდგომარეობა, რათა თქვენი სურვილისამებრ, თქვენს მიერ შერჩეულ რაიონში/ქალაქში მოხდეს თქვენი ოჯახისთვის გრძელვადიანი განსახლების შეთავაზება.

დასმულ კითხვებზე თქვენი გულწრფელი პასუხები დაგვხმარება მიუკერძოებლად და სამართლიანად მოვახდინოთ თქვენი მდგომარეობის შეფასება ამ ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და იგი გამოყენებულ იქნება მხოლოდ გადაწყვეტილებების მისაღებად.

კითხვარი ეხება ოჯახს. ოჯახად მოიაზრება განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახის წევრად ითვლება ასევე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც დროებით ცხოვრობს ოჯახს გარეთ (ბავშვთა სახლში, მეორე მშობელთან, ნათესავთან და ა.შ.)



№	სახელი, გვარი	ნომერი	სქესი 1.მამრ. 2. მდე		<ol style="list-style-type: none"> <li>1. მეუღლე,</li> <li>2. შვილი,</li> <li>3. მშობელი,</li> <li>4. და/მმა,</li> <li>5.შვილიშვილი</li> <li>6.რძალი/სიმე,</li> <li>7. სხვა (ჩაწერეთ)</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1.დაოჯახებული</li> <li>2.დასაოჯახებული</li> <li>3.განქორწინებული</li> <li>4. ქვრივი</li> <li>5. დედა, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს შვილის აღზრდაზე.</li> <li>6.სამოქალაქო ქორწინება</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დევნილი (რეგისტრაციის ნომერი)</li> <li>2. დევნილია და ელოდება სტატუსს</li> <li>3. დევნილია, მაგრამ სტატუსი არა აქვს</li> <li>4. არადევნილი</li> </ol>	<p>მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა</p> <p>მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა</p> <p>ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ცხოვრობს და რეგისტრირებულია ადგილზე;</li> <li>2. ცხოვრობს, მაგრამ რეგისტრირებულია სხვაგან;</li> <li>3. არ ცხოვრობს, მაგრამ რეგისტრირებულია ადგილზე.</li> <li>4. წასულია საზღვარგარეთ</li> </ol>
1									
2									
3									
4									
5									
6									
7									
8									
9									
10									

დამატებითი საინფორმაციო მოდული - ინფორმაცია ოჯახის სხვა წევრების და ახლო ნათესავების შესახებ რომლებიც ცალკე ცხოვრობენ

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სქესი	ასაკი	მიმართება	ოჯახური	დევენილის	საკუთრებაში	დაკმაყოფილებულ	ფაქტიური
					ოჯახის	მდგომარეობა	სტატუსი	არსებული	ი გრძელვადიანი	საცხოვრებელის
			1.მამრ. 2. მდ		უფროსთან	მდგომარეობა	სტატუსი	უმრავი ქონება, მისამართი	განსახ. Pპროგ. ფარგლებში	მისამართი
					1.მეუღლე, 2.შვილი, 3.მშობელი, 4.და/მმა, 5.შვილიშვი ლი, 6.რძალი/სიმ ე, 7. სხვა (ჩაწერეთ)	1.დაოჯახებული 2.დასაოჯახებელ ი 3.განქორწინებუ ლი 4.ქვრივი 5. დედა, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს შვილის აღზრდაზე	1.დევენილი (რეგისტრაციის ნომერი) 2.დევენილია და ელოდება სტატუსს 3.დევენილია, მაგრამ სტატუსი არა აქვს 4.არადევენილი	1. ბინა 2. სახლი 3. მიწა	1. დაიკანონა ორგანიზებულ ჩასახლებაში 2. განსახლდა ახალ საცხოვრებელში 3. მიიღო ფულადი დახმარება ფართის სანაცვლოდ	
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										

**A2. ინფორმაცია ოჯახის არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) პირების შესახებ**

№	სახელი, გვარი	მარჩენალდაკარგული არასრულწლოვანი	თუ ჰყავს მეურვე, მიუთითეთ, ვინ	თუ სარგებლობთ ბავშვის მომვლელის (ძიძის) მომსახურებით?	თუ ცხოვრობს ოჯახს გარეთ, მიუთითეთ, სად?	რატომ ცხოვრობს ოჯახს გარეთ?
		1.დედით 2. მამით 3. არ ჰყავს არცერთი მშობელი	1. ბებია/ბაბუა 2. და/მმა 3. დეიდა/მამიდა/ბიძა 4. სხვა ნათესავი (ჩაწერეთ)	1. კი 2. არა	3. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში 4. მეორე მშობელთან	1. თვითონ ასე სურს; 2. სიღუბნის გამო;



2									
3									

**მოდული - ინფორმაცია ოჯახის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ**

B1. 18 წელზე უფროსი ასაკის ოჯახის წევრების ეკონომიკური სტატუსი											
№	სახელი, გვარი	დაქორწინებით მომუშავე	თვითდასაქმებული საკუთარ მიწის ნაკვეთზე	ბიზნეს-საქმიანობა	შემთხვევით და/ან ერთჯერად სამუშაოებზე დასაქმება	უმუშევარი	პენსიონერი	სტუდენტი / მოსწავლე	დიასახლისი	შრომის უუნარო	არ სურს მუშაობა
1											
2											
3											
4											
5											
6											
7											

B2. ოჯახის უძრავი და მოძრავი ქონება		
B2.1. რა სახის უძრავი ქონებაა ოჯახის საკუთრებაში?	1. ბინა, სახლი	საბაზრო ფასი -----
	2. აგარაკი	საბაზრო ფასი -----
	3. მიწა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით	საბაზრო ფასი -----
	4. მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით	საბაზრო ფასი -----
	5. კომერციული ფართი	საბაზრო ფასი -----
	6. სხვა (მიუთითეთ) -----	საბაზრო ფასი -----
	7. არ გააჩნია	
B2.2. ოჯახს თუ გააჩნია მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობაში და რა ფორმით?	1. სარგებლობის უფლებით (ნათხოვარი)	რა პერიოდით? -----
	2. იჯარა	რა პერიოდით? -----

	3. არ გააჩნია
B2.3. რა სახის სარგებელი აქვს ოჯახს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან?	<p>1. პროდუქციას იყენებენ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის</p> <p>2. პროდუქციის ნაწილს იყენებენ მოხმარებისთვის და ნაწილს გასაყიდად</p> <p>3. პროდუქციას მთლიანად ყიდიან</p> <p>4. ვერ ვამუშავებ მიწას</p>
B2.5. რა სახის მოძრავი ქონებაა ოჯახის წევრების საკუთრებაში?	<p>1. ავტომობილი <span style="float: right;">საბაზრო ფასი -----</span></p> <p>2. სხვა ----- <span style="float: right;">საბაზრო ფასი -----</span></p> <p>3. არ გააჩნია</p>

**B 3. ოჯახის საშუალო თვიური ხარჯები**

ხარჯები	ლარი
1 სურსათზე, სასმელზე	
2 თამბაქოს ნაწარმზე	
3 ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	
4 საოჯახო მოხმარების საქონელზე	
5 სათბობსა და ელექტროენერგიაზე	
6 ტრანსპორტზე	
7 ჯანმრთელობის დაცვაზე	
8 განათლებაზე	
9 სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	
10 დაზოგვაზე ან გასესხებაზე	
11 ქონების შეძენაზე	
12 კირა	



13 სხვა ხარჯები	
<b>14 ხარჯი, სულ</b>	

\* თანხის დაზოგვა ხდება ოჯახის წევრისათვის საჭირო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამო (ავსებს ინტერვიუერი)

<b>B 4. ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი</b>	
<b>შემოსავალი წყაროების მიხედვით</b>	<b>ლარი</b>
1. დაქირავებული შრომიდან (ხელფასი)	
2. ბიზნესიდან (მოგება)	
3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან (საკუთარი მეურნეობიდან)	
4. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან ნატურით (საკუთარი მოხმარებისათვის)	
5. პენსია	
6. სტიპენდია	
7. დევენილთა შემწეობა	
8. სახელმწიფო კომპენსაცია	
9. სოციალური პაკეტი	
10. სხვა სოციალური ანაზღაურება (მაგ.: რეინტეგრაციის შემწეობა, მინდობით აღზრდის ანაზღაურება და სხვა)	
11. სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)	
12. უცხოეთიდან მიღებული გზავნილები (ფულადი და არაფულადი)	
13. საჩუქრად მიღებული ფული ან არაფულადი შემოსავლები	

14. ქონების გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრიდან	
15. ქონების გაყიდვიდან	
16. ფულის სესხება	
17. საბანკო კრედიტი	
18. დანაზოგის გამოყენება	

C1 რა არის ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის სტატუსი? (შემოხაზეთ)	1. კერძო სექტორი	
	1.1 ნაქირავები	ქირის ოდენობა _____
	1.2 ნაგირავები	გირავნობის თანხა _____
	1.3 ნათხოვარი	დროის ხანგრძლივობა _____
	1.4 ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ბინაში ქირის გარეშე	
	1.5 ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ოჯახთან ერთად	
	2. კოლექტიური განთავსების ცენტრი	
	3. არის ოჯახის საკუთრებაში	საბაზრო ფასი _____
	4. სხვა (მიუთითეთ)-----	

19. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დანიშნული ფულადი დახმარება	
20. სხვა შემოსავალი	
<i>შემოსავალი, სულ</i>	

B5. იმყოფება თუ არა თქვენი ოჯახი სიდარბის დამლევის პროგრამაში?	1 დიახ 2 არა (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გადადიეთ C მოდულზე)
B5.1 რამდენია ოჯახის სარეიტინგო ქულა?	1 57001-ზე ნაკლები
	2 57001-70000
	3 70001-დან 100 000
	4 100 000-ზე მეტი

<b>C2.</b> რამდენი ხანია ცხოვრობთ აღნიშნულ მისამართზე?	<ol style="list-style-type: none"> <li>1. 6 თვემდე</li> <li>2. 6 თვიდან 1 წლამდე</li> <li>3. 1-2 წელი</li> <li>4. 3 და მეტი</li> </ol>
<b>C3.</b> ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენჯერ შეიცვალეთ საცხოვრებელი?	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არც ერთხელ</li> <li>2. ერთხელ</li> <li>3. ორჯერ</li> <li>4. სამჯერ</li> <li>5. ოთხჯერ და მეტჯერ</li> </ol>
<b>C4.</b> თუ აქვს საკუთრებაში ოჯახს ან მის რომელიმე წევრს სხვა საცხოვრებელი, გთხოვთ მიუთითოთ	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კი <ul style="list-style-type: none"> <li>• ვისზეა რეგისტრირებული: გვარი, სახელი _____ პირადი ნომერი _____</li> <li>• ადგილმდებარეობა _____</li> <li>• საბაზრო ფასი _____</li> </ul> </li> <li>2. არა</li> </ol>

**D – საცხოვრებლის მდგომარეობა და ცხოვრების პირობები**

**D1- დაკმაყოფილდა თუ არა განმცხადებელი, ასევე მის ოჯახის წევრები საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით განსახლების პროგრამის ფარგლებში, უნდა მიეთითოს ოჯახის ის წევრები, რომლებიც დაკმაყოფილდნენ**

- დავიკანონე ფართი ორგანიზებული ჩასახლების ობიექტში ოჯახის წევრები (მიუთითეთ ნომრები) \_\_\_\_\_
- სამინისტრომ ჩამასახლა დევნილთათვის აშენებულ ან გარემონტებულ ბინებში, სახლებში ოჯახის წევრები (მიუთითეთ ნომრები) \_\_\_\_\_
- სამინისტრომ გამიწია ერთჯერადი ფულადი დახმარება განსახლების პროგრამის ფარგლებში (7000, 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი) ოჯახის წევრები (მიუთითეთ ნომრები) \_\_\_\_\_
- კერძო პირმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა) ჩემს მიერ ორგანიზებულ ჩასახლებაში დაკავებული ფართის დაცლის სანაცვლოდ გადამიხადა თანხა ოჯახის წევრები (მიუთითეთ ნომრები) \_\_\_\_\_

**D2 - იმ შემთხვევაში თუ საცხოვრებლის მეპატრონე ითხოვს დევნილის გამოსახლებას, რომელ ორგანოში მიმდინარეობს საქმის წარმოება (შემოხაზეთ)**

- სასამართლო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იგპ-თა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
- სხვა \_\_\_\_\_

**D3 - არის თუ არა საცხოვრებელი ნგრევადი ან გარემოს აქვს მავნე ქიმიური შემადგენლობა და თუ კი, მაშინ თუ არსებობს ამაზე რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი**

- საცხოვრებელი არ არის ნგრევადი და გარემოს არ აქვს მავნე ქიმიური შემადგენლობა
- საცხოვრებელი ნგრევადია, მაგრამ არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი
- გარემოს აქვს მავნე ქიმიური შემადგენლობა, მაგრამ არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი
- საცხოვრებელი ნგრევადია და არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, დოკუმენტზე ხელმოწერი ორგანიზაცია \_\_\_\_\_
- გარემოს აქვს მავნე ქიმიური შემადგენლობა, და არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, დოკუმენტზე ხელმოწერი ორგანიზაცია \_\_\_\_\_

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია. (შენიშვნა: სამინისტრო იტოვებს უფლებას, ანკეტაში მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ბათილად ცნოს მიღებული გადაწყვეტილება)

განმცხადებლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

**დანართი №4**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №621 - ვებგვერდი, 31.10.2013წ.

№	საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ა	კომპაქტურად (ორგანიზებულად) ან კერძოდ განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას	3
ბ	საცხოვრებელი პირობები არის განსაკუთრებით მძიმე და რადიკალურად არ შეესაბამება მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს (დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, საყარაულო ჯიხურში, თვითნაკეთებ ხის/ფიცრულ შენობაში, მიწურში და სხვა)	3
გ	კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ობიექტებს; აღნიშნული ინტერესი ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული თვითმმართველობის (თუ ისინი არიან მესაკუთრეები), ან სხვა საჯარო უწყების მიერ, რომელიც ფლობს აღნიშნულ შენობას.	2
დ	კერძო სექტორში მაცხოვრებელი ოჯახის საცხოვრებლის სტაბილურობა. ამჟამინდელ საცხოვრებელში ყოფნის ხანგრძლივობა არის 1 წელზე ნაკლები და ბოლო 5 წლის განმავლობაში ოჯახმა 2-ზე მეტჯერ შეიცვალა საცხოვრებელი	1

**დანართი №5**

№	სოციალური კრიტერიუმი	ქულა
ა	ა.ა) დაბალი შემოსავალი თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლებია, ოჯახს ენიჭება 4 ქულა, თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილ საარსებო მინიმუმის ნახევარზე მეტია ან უტოლდება მას - 3 ქულა, თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილ საარსებო მინიმუმს აღემატება შესაბამისი საარსებო მინიმუმის ნახევარი ოდენობით - 2 ქულა.	1-8

	ამასთან, თუ დევნილი ოჯახი იხდის საცხოვრებელი ფართისათვის საჭირო ქირას, ზემოაღნიშნულ ქულას ემატება დამატებით 1 ქულა.  <b>ა.ბ) სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა</b> თუ ოჯახი დარეგისტრირებულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ენიჭება 57001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით - ქულა 3 57001 - 70000 შორის სარეიტინგო ქულით - ქულა 2 70000 – 100 000 შორის სარეიტინგო ქულით - ქულა 1  ქულების დაანგარიშებისას ჯამდება ა.ა) და ა.ბ) პუნქტებში მითითებული ქულები	
ბ	ოჯახში არის 3 და მეტი 18 წელზე დაბალი ასაკის ოჯახის წევრი. 3-ზე ერთი ქულა, ყოველ დამატებითზე 0,5 ქულა	1-5
გ	მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/წევრები. მუდმივად მწოლიარე (3 ქულა), უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება (1 ქულა), ფსიქიკური აშლილობა (2 ქულა). უნდა არსებობდეს ექიმის დასკვნა. ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სპეციალურ საჭიროებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსახლების შეთავაზებისას, გარდა ამ ცხრილის „დ“-ში გათვალისწინებული შემთხვევებისა.	1-3
დ	ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად (3 ქულა), მნიშვნელოვნად (2 ქულა) ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის (1 ქულა) შეზღუდვის მქონე პირები (ჯანმრთელობის მოშლითგამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით), რაც დასტურდება შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტით (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი)	1-3
ე	მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე, ამასთან სიღარიბე არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს ბავშვების მომვლელის მომსახურებით;	2
ვ	ხანდაზმულ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად.	1
ზ	პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო და ოჯახი, რომელიც შედგება ხანდაზმული წევრებისგან. ოჯახი შედგება მხოლოდ ან ძირითადად (ნახევარზე მეტი) საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისგან;	1
თ	ოჯახი, რომლის წევრი ან წევრები გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში	1
ი	ოჯახი, რომლის წევრი ან წევრები არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანი/ვეტერანები	1

**დანართი №6**

გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით

პარამეტრი	ერთეული	საცხოვრებელ ფართში		
		მინიმალური სტანდარტი ახლადაშენებული და ცარიელი შენობებისთვის	ოთახების რაოდენობა	დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობა
საცხოვრებელი	მ <sup>2</sup> თითოეულ	25 - 35 მ <sup>2</sup>	ერთოთახიანი ბინა	1-2 მოსახლე
		40 - 45მ <sup>2</sup>	ოროთახიანი ბინა	3-4 მოსახლე

ფართი	ბინაში	50 - 60მ <sup>2</sup>	სამოთახიანი ბინა	5-6 მოსახლე
-------	--------	-----------------------	---------------------	-------------

დანართი №7

## დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულება

### მუხლი 1

ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში - კომისია) ძირითადი ფუნქციაა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის ორგანიზება და წარმართვა ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ (შემდგომში - წესი) შესაბამისად, ასევე დევნილთა სხვა საჭიროებების შესწავლა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი (შემდგომში - მინისტრი) ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

### მუხლი 2

1. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის სხდომები, შეიძლება მოწვეულ იქნეს კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის (კომისიის წევრი) ინიციატივით.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

### მუხლი 3

1. კომისიის კომპეტენციაში შედის, “საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებისა და წესის შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის ორგანიზება და დევნილთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების განხილვა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, როგორც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, ისე სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან/და აშენებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

2. კომისიის მიერ საცხოვრებელი ფართების დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება წესის შესაბამისად.

3. კომისია უფლებამოსილია მიიღოს დამატებითი წესები და რეგულაციები კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან დაკავშირებით, რომლებიც არსებითად შეესაბამება წესს და არ ახდენს გავლენას კომისიის მიერ კონკრეტულ საკითხზე მისაღებ გადაწყვეტილებაზე და შედეგზე.

4. საჭიროების შემთხვევაში, კომისია ასევე უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები დევნილთა მიერ შენობის ან/და საცხოვრებელი ფართის თვითნებურად, კანონის

დარღვევით დაკავების შემთხვევების, დევნილთათვის დახმარებების გაწევის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა საკითხების თაობაზე.

#### **მუხლი 4**

1. კომისიის სხდომისათვის, განსახილველი საკითხების მომზადებას უზრუნველყოფს დეპარტამენტი, რომელიც ვალდებულია კომისიის სხდომაზე წარადგინოს საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი და მასალა, ამასთან დეპარტამენტი ვალდებულია წარმოუდგინოს კომისიას დეპარტამენტის წინადადებები და პოზიცია, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

2. კომისიის სხდომის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა აღრიცხვას და სხდომის ოქმის მომზადებას.

3. კომისიის სხდომის მდივანი ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს და შესათანხმებლად წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის მდივანი დღის წესრიგს გადასცემს კომისიის წევრებს და აცნობებს სხდომის ჩატარების დროს სხდომამდე ერთი დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის ჩატარების თარიღს, დროსა და დღის წესრიგს – საჭიროებისამებრ, მაგრამ არა უგვიანეს სხდომის ჩატარებამდე 1 (ერთი) საათით ადრე მაინც.

4. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრების პოზიციას აფიქსირებს სხდომის მდივანი სხდომის ოქმში.

5. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია:

ა) მიიღოს საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე დევნილთა განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება;

ბ) მოიწონოს ან მისცეს უარყოფითი შეფასება განხილულ საკითხს;

გ) არასაკმარისად ცნოს განხილული საკითხის ირგვლივ გაწეული საქმიანობა/ არასრულყოფილად მიიჩნიოს საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალა და დოკუმენტაცია;

დ) ცნობად მიიღოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი ინფორმაცია;

ე) განუხილველად დატოვოს სხდომაზე წარდგენილი საკითხი;

ვ) გადადოს საკითხის განხილვა;

ზ) დამატებით მოსამზადებლად დააბრუნოს განსახილველად წარდგენილი საკითხი.

#### **მუხლი 5**

1. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. კომისიის მიერ განხილული საკითხის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა რაოდენობის თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, განხილულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია წარედგინება მინისტრს.

4. მინისტრი უფლებამოსილია გააუქმოს კომისიის მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები.

5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, მინისტრის თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში.



6. კომისიის გადაწყვეტილება საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე დევნილთა განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე, კომისიის მიერ წარედგინება მინისტრს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, რაც წარმოადგენს განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების, კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ გასანაწილებელ საცხოვრებელ ფართებში განსახლების საფუძველს.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №621  
2013 წლის 28 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**„დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის,  
კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების  
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით  
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9  
აგვისტოს №320 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:  
**მუხლი 1**

„დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში (ვებგვერდი, 15/08/2013, 010170000.22.029.016059) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1):

ა) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დეპარტამენტი ახდენს გასანაწილებელი ფართების დაკავების მსურველთა განაცხადების მიღებას, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კონტიგენტიდან. განაცხადის შევსება ხდება სამინისტროს შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ როგორც სამინისტროს შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომლი, ისე დევნილი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ან ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი მასზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ოჯახის სრულწლოვანი წევრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის დევნილი ოჯახის მიერ ივსება ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2 – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ ფორმა და დანართი №3 – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის“ ფორმა. დევნილს აქვს უფლება, განაცხადის შემოტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, დააზუსტოს მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დეპარტამენტის მიერ საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს: შესაძლებლობისა და საჭიროების შემთხვევაში, დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლას, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი მონაცემების მოთხოვნას დევნილებისაგან; ასევე, მოპოვებული და დევნილი ოჯახის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობის შეფასებას კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების მეშვეობით. სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოები ეხმარებიან დეპარტამენტს განაცხადების მიღებაში, დამუშავებასა და მონაცემების მოძიება-გადამოწმებაში. დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლის შემთხვევაში, დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სამინისტროს შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი და დევნილი ოჯახის სრულწლოვანი წევრები.“;

გ) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. დევნილი ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადები არ



დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სხვა პროექტ(ებ)ის ფარგლებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებ(ებ)ის გაკეთების მიზნით, ავსებენ მხოლოდ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ ფორმას. ამ შემთხვევაში, დევნილი ოჯახის ან სამინისტროს ინიციატივით შესაძლებელია დაზუსტდეს/გადამოწმდეს დევნილი ოჯახის მიერ შევსებული ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის“ ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასეთი საჭიროების შემთხვევაში.“;

დ) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების პროექტ(ებ)ის შესაბამისად, დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შეთავაზებისას, კომისიამ, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს დევნილთა ადგილობრივი განსახლების აუცილებლობა, რათა მოხდეს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დევნილი ოჯახის ფაქტობრივ საცხოვრებელთან იმ მანძილზე, რომელიც უზრუნველყოფს უკვე არსებული სოციალური კავშირებისა და შემოსავლის წყაროების შენარჩუნებას. გარდა კრიტერიუმების შესაბამისი ქულებით დევნილი ოჯახის შეფასებისა, ქ. თბილისში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახს ასევე ენიჭება დამატებით 2 ქულა, თუ იგი შეავსებს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში არსებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ებ)ის ფარგლებში, გარდა ქ. თბილისისა.“.

2. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებულ „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ – დანართ №4-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი №4-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი**

**დავით დარახველიძე**

**დანართი №4**

№	საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ა	კომპაქტურად (ორგანიზებულად) ან კერძოდ განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას	3
ბ	საცხოვრებელი პირობები არის განსაკუთრებით მძიმე და რადიკალურად არ შეესაბამება მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს (დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, საყარაულო ჯიხურში, თვითნაკეთებ ხის/ფიცრულ შენობაში, მიწურში და სხვა)	3
გ	კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ობიექტებს; აღნიშნული ინტერესი ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული თვითმმართველობის (თუ ისინი არიან მესაკუთრეები), ან სხვა საჯარო უწყების მიერ, რომელიც ფლობს აღნიშნულ შენობას.	2



დ	კერძო სექტორში მაცხოვრებელი ოჯახის საცხოვრებლის სტაბილურობა. ამჟამინდელ საცხოვრებელში ყოფნის ხანგრძლივობა არის 1 წელზე ნაკლები და ბოლო 5 წლის განმავლობაში ოჯახმა 2-ზე მეტჯერ შეიცვალა საცხოვრებელი	1

